გივი
ალხაზიშვილი

უცხო ფრინველი

„ნაკადული“ თბილისი
1975

გივი ალხაზიშვილის ლექსების ახალი კრებულის თემატურ–აზრობრივი მიმართება თვით წიგნის სათაურშივეა გამჟღავნებული. ზოგი ამ ლექსთაგან ქართული ხალხური შემოქმედების მოტივებში იღებს დასაბამს და ტრადიციასთან ორგანულ კავშირშია. ვლინდება დღევანდელობის, ლირიკული გმირის ეთიკურ–ზნეობრივი პორტრეტი.

ციკლიდან „ძველი ჰანგები“

მზის საგალობელი

დიდება, მზეო, შენს მობრძანებას,
შენს ღვთიურ ნათელს,
მაცოცხლებელს,
მასულდგმულებელს...

ჩაეხუტე,
შენებურად ჩაეხუტე
ნაზამთრალ მიწას,
გამზრალ მიწაში მიმალული
ათასფერადი ყვავილები ამოაფრქვიე,
მზევ, შინ შემოდი,
ბნელ ფანჯრებში შემოიხედე.

ყინული ლღვება,
ნაკადული გარბის სიმღერით,
აგე, გლეხკაცი გამოსულა მამულის ზვრებში –
გაოცებული მერამდენედ გეჩურჩულება,
საიდან მოხველ, დალოცვილო,
უშორესი ლაჟვარდებიდან,
თუ უშორესზე
უფრო შორიდან?!

შინ შემოდი, დიდებულო
მზევ, შინ შემოდი!
შენი ნათელი მოჩქეფს ძარღვებში,
ხნულში ჩაფლული მარცვალივით
ამ გულს აღვივებს,
ველარ ეტევა საგულეში,
ძალუმად ფეთქავს
და თვალებიდან
სიხარულის ცრემლებად მოდის.

ამ სინათლეში
ისე მიყვარს მამული ჩემი
ჭირგამოვლილი,
მინდა სხივივით შევერიო დედამიწას,
რომ ბალახების მწვანე თვალებით
ვუმზირო სივრცეს.

დიდება, მზეო, შენს მობრძანებას!
შენი სხივები ჩვილის თვალებში
ითესება და იტოტება,

ვინ დააბნელებს, შენს სინათლეს
                წიაღიდან ვინ ამოძირკვავს...

აღარც ტკივილის,
                აღარც დარდის,
                არც სინანულის,
არ მაქვს უფლება ამ სინათლეში
და ვაზივით ვეხუტები იმედის ჭიგოს.

* * *

მიდის ზამთარი და იმუქრება,
რომ კიდევ მოვა,
                მოვა და მოვა,
რომ ამაოა, თითქოს უქრობი
გაზაფხულის მზე –
                ო, ამაოა.
მაგრამ ზამთარი თუკი გავიდა,
ვის ახსენდება მუქარა ზამთრის?
განმეორდება ისევ თავიდან –
შენელებული
                და ძველი კადრი.
განმეორდება სხვა სიანკარით –
ერთი შეხედვით თითქოს უცვლელი
მთები,
        ტყეები
                და ნიავქარი –
ჯერ არსებული და გარდუცვლელი;
მოაწყდებიან თვალს ტანწერწეტა
ალვისხეები ქართა მხმობელი;
მიდის ზამთარი,
                ასე წვეთწვეთად
მავსებს ნათელი შეუცნობელი.

1975

* * *

ანთია ფიქრი, მკრთალად აშუქებს
მოგონებათა ქალაქის კედლებს,
დროის წართმეულს, დროის ნაჩუქარს
და ფეხათრეულ იმედის ეტლებს.

ლურჯი ნისლივით ცისკენ წასული
მოჩანს გუმბათი და იხედება

წყვილი სარკმელი, ხმა გარდასული
კვლავ მივიწყებულ ზარში ბერდება.

შვიდი ნოემბრის ისმის სალუტი,
ეჩვევა თვალი მაჟორულ ელფერს,
ფანჯრიდან მოჩანს ხიდი, სალუდე,
მეტეხი, მტკვარი და ვახტანგ მეფე.

ვ ა ნ ი

ვის გაახსენდი,
ან რა ქარი აღვიძებს ახლა
ათასი წლის წინ გაქვავებულ
ქალაქის კედლებს?
შენ ქვესკნელიდან ამოცურე
მაღლა და მაღლა
და მეჩვენება:
სივრცეებში გაფრენას შეძლებ.
დროის გარეშე,
დროის მიღმა,
რამდენი წელი,
წარსულის ფსკერზე,
დროის ხავსში
გეძინა დიდხანს,
მინდა მივიდე,
ბებერ მხრებზე
მოგხვიო ხელი,
მოგეფერო და
რაიმე გითხრა.

1971

* * *

ბაღში გუბეთა მღვრიე თვალები
გაჟღენთილია მარტით და დილით,
მიდის ღრუბელი,
მიექანება
და ეზო–ეზო მიჰყვება ჩრდილი.

ახლა ყოველი წუთი და ჩქამი
იდუმალ ხაზებს და ფერებს ავლებს,
ველარ ვარიდებ ხავსიან კრამიტს

ღელვის ცრემლებით ავსებულ თვალებს.

ეს მერამდენედ,
ასე მოღლილი
მე ჩამოვდივარ მშობლების სახლში,
გავიმართები წელში მოხრილი
და მივაბიჯებ სრულიად ბავშვი.

სიმყუდროვეში თითქმის არაფერს
აღარ ვიხსენებ
და ვირინდები –
და ვუსმენ ხეთა ჯადოსნურ არფებს,
ათრთოლებულებს ღმერთის თითებით.

1975

* * *

მე მახსოვს
მშვიდად იდექი კართან
და აბრეშუმის ფრთხილი შრიალი
თითქოს ამხელდა ფსკერის სიჩუმეს.
უძირო ჩქამი ნელა,
თანდათან
მოდიდებული ჟრუანტელივით
გადმოდიოდა დაუსრულებლივ
და აღვიძებდა
მთვლემარე მარცვალს.
მე მახსოვს, მშვიდად იდექი კართან
და უმშვიდესი ხმების მორევი
თითქოს არწევდა სიჩუმის კალთას
და მეც სიჩუმეს ვიმეორებდი.
გაოგნებული ვუცქერდი,
ღმერთო,
რისთვის მოფრინდა მკვიდრი ედემის?!
ფრთაზე მბჟუტავი ხომლივით ენთო
გამოჟონილი სისხლის წვეთები.
ეფინებოდა შუქი იელის
თმებზე
და თვლემდა ირგვლივ ყოველი,
შორით ისმოდა ცაცხვის შრიალი,
ვით უძველესი საგალობელი.

1972

მეშჩანები

(იულიან ტუვიმიდან)

უსაშინლეს უბანთა
ამაზრზენი ბინები,
შეძრწუნებულ მეშჩანთა
საშინელი ცხოვრება,
კვდომა თანდათანობით,
უზანტესი დინებით,
ჭვარტლიანი დღეების
მოწყენილი ზმორება.
მიმოდიან თითქოს და
ნაბიჯებსაც მარხავენ,
მათთვის მოჩვენებაა
ყოველივე სრულიად,
დილიდანვე ლუღლუღი,
ათას რამეს ჩმახავენ,
ოქროს სამკაულები
აზრის დასასრულია.
საათს გაასწორებენ,
მოიჩხრეკენ ჯიბეებს,
წაიჭერენ ყელსახვევს...
მერე კარის გაღება...
მძიმე–მძიმე ნაბიჯით
ჩაივლიან კიბეებს
და ქუჩაში გამოსვლა
ძლიერ ეამაყებათ.
ყელსახვევის მარყუჟი
სახეს შეაფერადებს,
მკაცრად მოაბიჯებენ
სივრცეს მზერას ახლიან...
აღიქვამენ ცალცალკე:
ავტობუსში ვერ ადის...
ხეები ჩანს...
გამარჯობათ...
ცხენი... ძველი სახლია.
ჩაბღუჯავენ გაზეთებს
გაყინული თითებით,
კითხულობენ ტყუილებს,
კითხვა აღარ მთავრდება,
უსივდებათ თავები
და მანამდე ითმენენ,
ვიდრე ტვინში თივა და
ნამჯა აშრიალდება.

დაიწყებენ საუბარს –
ფორდი... კინო... უფალი...
ვინ მოიგო... რუსეთში...
მართალია... მითია? ...
იჯერებენ ტყუილებს,
ფიქრით თავისუფალით
ლიანებით დაბურდულ
ჯუნგლებისკენ მიდიან.
უმძიმდებათ თავები,
დაძვრებიან მალულად –
ეს თავები კი არა
ხავსიანი ქვებია,
საძაგელი ქურდები
ხომ არ შემოპარულან?!
გააღებენ კარადებს
საწოლის ქვეშ ძვრებიან.
უძვირფასეს საათებს
ისევ გაისწორებენ,
შარვლებს შეამოწმებენ –
„სკამზე ისევ ჰკიდია?“
თავში დატრიალდება
სამკაულთა მორევი
და ოცნებით თანდათან
ოქროს ზღვისკენ მიდიან.
ღამით ევედრებიან
აგვაცილე, უფალო,
უეცარი სიკვდილი,
ნუ დაგვაგდებ უფულოდ...
უსაშინლეს უბანთა
ამაზრზენი ბინები,
კვდომა თანდათანობით,
უზანტესი დინებით.

ს უ რ ა თ ი

ახლოსაა შეღამების ფრთები
და სანახებს შეეპარა ბინდი,
ალბათ მალე წაიშლება გზები,
მდინარეზე ჩაიქცევა ხიდი.

როგორც ზღვაში ჩავარდნილი კენჭი,
ცაში ისე იკარგება ქორი,
ფოთლებივით ათრთოლებულ ეჭვებს
ყველაფერი ეჩვენებათ შორი.

დგება წუთი,
უცნაური წუთი –
არას ნატრობ გარინდების გარდა,
ოდეს ცაში შოშიების გუნდი
აფრინდება
დღის და ღამის ზღვართან.

1967

* * *

თვალებში დნება სევდის ფანტელი,
ჩამოფრენილი სინათლის სხივი
მიჭირავს, როგორც თაფლის სანთელი
და ნანგრევებზე სიჩუმე ღვივის.
თითქოს სიჩუმის ფოთლები არის
მწვანე ლოდები დუმილით სავსე,
გაყინულია კედლებზე ქარი,
მზე მიქანაობს ღრუბლების თავზე.
და როგორც ზღვაზე ეული აფრა,
ისე დაცურავს დუმილში დარდი,
და არწივივით ეშვება დაბლა
ბაგრატის ტაძრის ვეება ლანდი.

1967

ბავშვობის სურათი

თითის წვერებზე აიწია,
ჩამავალი მზის ოდნავი რკალი
ისევ ფეთქავდა.
* * *
მაინც ჩავიდა.
* * *
კიბეები აირბინა და ზაფრანის
ყვავილის ხელა
ჩამავალი მზე ისევ ფეთქავდა.
* * *
გაუჩინარდა.
* * *
ბებერი კაკლის კენწეროზე შემოსკუპდა,
ცოტა ხნის მერე ჩამავალი მზის
ოდნავი რკალი
ოქროს თევზივით დაუსხლტა მზერას.

თითის წვერებზე აიწია
და კინაღამ გადაჰყვა ბიჭი
ჩამავალ მზეს ჰორიზონტს მიღმა.
შეშინებული იჯდა ტოტზე.
უხმობდა დედა და მიჰყვებოდა
                  დაბლა და დაბლა
დედის ხმას, როგორც იმედის კიბეს.

1975

ღამეული დუეტი

მიწყდა ხმაური.
                  მარტონი დავრჩით,
მე და სარკმელი ზეცას შევყურებთ
და სწორედ ასე,
როგორც ნანატრი ძმაკაცის ხმა შემოგესმება –
უშორესიდან ისმის მუსიკა ძლივსგასაგონი.
თითქოს მკერდიდან
უმძიმესი ქვა გადავაგორე,
ქვა, რომელზედაც ჩემივ ფრჩხილებით
                ამოვკაწრე ეპიტაფია.
(ის სტრიქონები ასოებად დაიშალა,
                ამოძრავდა
და ბურნასავით დაბზრიალდა მოგონებაში.)
მიწყდა ხმაური.
                  შორეული ვიოლონჩელო,
როგორც ღამის თანამოაზრე
ჩემთან ერთად ასრულებს დუეტს
და ნაადრევად დაღარულ სახეს –
ჩემი ფიქრების კონტურულ რუკას
ენატრება ყრმობის ღიმილი.

1975

ფ შ ა ვ შ ი

მდუმარეაა ვანხევის ტყეში
და მღვიმეებში შემალულ ქარებს
გარინდებული უსმენს უღრანი.

ტყის განაპირას ღვივის ასკილი
და გამთენიის ცას უერთდება.

ამ მთაზე ისე ახლოა ზეცა,
რომ ვარსკვლავების მარადი თრთოლვა
ჟრუანტელივით მოედო სხეულს.

1970

ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი

როცა პირველად გაახელ თვალებს,
მე დაგანახებ მზეს და სათიბებს
და დედა ჩუმად გიმღერებს ნანას,
რომ შენს სხეულში თიბათვე ენთოს
და შენი სული სათიბივით ერთვოდეს ზეცას...
და იავნანას ფრთხილი ნიავი
უხილავ ფრთებით არწევდეს აკვანს.

როცა პირველად გაახელ თვალებს,
მე სულ სხვა თვალით შევხედავ სივრცეს
და ვიგრძნობ ჩემი პატარა ფესვის
მიწის წიაღში გაფაჩუნებას.

1969

კ ო ნ ც ე რ ტ ი

ისევ ანთია დახუჭული
თვალების ფსკერზე
ვეება ჭაღი,
მერე კი ფრთხილად
ეხება ორკესტრს
დირიჟორის მსუბუქი ხელი
და თეატრის მძიმე კედლები
ჰორიზონტებს უერთდებიან.

და მენატრება შუაღამის
მღვრიე ფრთების ქვეშ
ფრინველების შეფრთხიალება,
როცა ზღვის პირას,
მარადმწვანე ხეების იქით
მიექანება დათოვლილი მატარებელი.

1969

ე ტ ი უ დ ი

მღერის ჰობოი,
(თენდება დილა),
მთელი სხეული სუნთქავს ბგერებით
ო, ისე ჩუმად
და ისე ფრთხილად,
თითქოს თითებით ხმებს ვეფერები.
იცვლება თემა და თრთოლვასავით
შევიგრძნობ ჰაერს
მიწას,
სამარეს
და მინორული ფრთების სავსავი
თვალებზე ღამეს ჩამომაფარებს.
ისე გაკრთება იმედის ნიში,
ოდეს მწუხარე ხმები ირევა,
შუაღამისას,
ვით შუა ძილში
შემკრთალი ბავშვის წამოტირება.

1974

* * *

მოჭრილი ცაცხვი მძიმედ დაეშვა,
პატარა ეზოს ჩამოხსნეს ფარდა,
მოვარდა ზეცა,
ბავშვის თვალებში
იდუმალების მცენარეს რგავდა

და შეკავებულ ცრემლს და ჟრუანტელს
ის ისრუტავდა და იზრდებოდა,
ჩამოდიოდა ციდან ნათელი,
ციდან კი არა, უფრო ზემოდან.

1975

სამშვილდე

როგორც მზის ამონათება,
ისე გამოჩნდა სათიბი,
ვიდოდი ღამენათევი,
მესმოდა ბაიათები...

მესმოდა ბაიათები,
მაგონდებოდა სამშვილდე,
ჩამოქცეული თაღების

მარადიული სიმშვიდე.

1969

* * *

დღეს ფოთოლცვენა ფეხდაფეხ მომდევს,
თავბრუდამხვევი, დიადი რიტმით
და ძლივს მივათრევ საკუთარ მოდელს,
შეკოწიწებულს სტროფით და რითმით.
მზე გარეუბნის ფანჯრებში ბრწყინავს,
მზე შემოდგომის, მზე ჩამავალი...
მოულოდნელად ვეხები რკინას
და მახსენდება მზერა მავანის.
ო, უნებლიეთ,
ისე ვით ძილში
ამოისროლა მკერდმა ხავილი
და გაიშალა სხეულში შიში,
ვით ეკლიანი რკინის ყვავილი.
შემოდგომაა, დაგუბდა სევდა,
აწყდება გულს და გულში არ იცდის,
ჩემს ფოთოლცვენას ბაღი ვერ ხედავს,
ბაღისას,
ვაგლახ, ისევ განვიცდი.
და ილუზია ზღაპრული ფუნჯით
კვლავ აფერადებს ნაცრისფერ საგნებს,
რომ ყოველივე აღმოჩნდეს ფუჭი,
როცა მტკივნეულ სიმართლეს ვაგნებთ.

1974

რ ე ქ ვ ი ე მ ი

არ შეგიძლია ნაბიჯის მოცვლა,
რად გეხლართება მძიმე თოკივით
განვლილი გზები?!
წარსული გლოცავს,
წარსული გწყევლის,
გდევნის
მოგკივის.
დგახარ,
ოცნებით სავანეს მიხვალ,
წყნარად მიჰყვები ფერად დინებას
და ხორცი – შენი მფეთქავი თიხა
ეხება მიწას და იყინება.
როდემდი ნეტა?
ფიქრი მოგბეზრდა,

ხედავ, ახლოა გზაგასაყარი,
ახლოა ღობე და ძველ ღობესთან
დაყუდებული ბერი საყდარი.
და იმ საყდართან
მუხას ახოვანს
აქრობს ნოემბრის ქარი თავნება,
რომ უფრო ვიგრძნოთ ცის სიახლოვე,
როცა მიწაზე ფიქრი მთავრდება.

1973

სანტიმენტალური ლექსი

მეტყველი მზერით
საღამოს ცას დავეწაფები,
ნიავის ქროლვამ
დამაბრუნა მარტივ გამებთან,
გაქრა ღიმილი –
ბაგეებთან დაკეცა ფრთები,
როგორც პეპელამ
და თვალებში ფიქრი გამეფდა.
შებინდებისას მუქდებიან
კიპარისები,
აფერადებენ თითქოს ზეცას
ლურჯი ფუნჯებით,
შემოგარენო, მთვარის შუქით ისევ ივსები
და მოდის ღამე –
ჟამი ფიქრის და დაუნჯების.
როგორც სოფლიდან ჩამოტანილ
გასაყიდ ჩითილს
გლეხი მალიმალ დაუსველებს
გამომშრალ ფესვებს,
ისე მასველებს ღამის ცვარი
და მღერის ჩიტი
იმ ნეტარ წუთებს –
მივიწყების წლებმა რომ შესვეს.
მაგნოლიათა ყვავილების
თეთრი ნათება –
ღამეულ ციდან
ვარსკვლავების რტოა დახრილი,
დრო ნელა მიდის,
მხოლოდ დროს არ აგვიანდება,
იგი მიცურავს ოცნებისკენ
ხავსის მარხილით.
თუმცა ოცნებას

უყვარს სივრცე ჩაუკეტელი,
(და იისფერი ზეცის კიდური),
მაგრამ ღამეში
დანგრეული ტაძრის კედელი
გამოჩნდა ისევ,
ვით ბებერი ლომის ფიტული.

1973

* * *

(გიგლა სარიშვილს)

ორწყლიდან თხილიანამდე
ფეხით გავლიე მანძილი,
არაგვის პირას, ჭალაში
გადამეღობა მაცილი;
– საით მიდიხარ, ბეჩავო,
სად უნდა სჭამო ღანძილი?
ეს არამკითხე ვინ არის,
დამცდა კბილების ღრჭიალით,
მოვზიდე ხანჯალს, ქარქაშში
ჩაჟანგებულა ტიალი,
დავკარი თოფი, ლულიდან
გაისმა ფოთლის შრიალი.
მიცქერის, თვალს არ მაცილებს,
სიცილით კვდება მაცილი,
ვდგავარ უმწეო მხედარი,
ღამეში – ღამის ნაწილი...
უცებ იქუხა ზეცამა,
მოვარდა ქარი ფრთიანი,
ელვა გამოკრთა, ვიფიქრე
ლახტია პიროფლიანის;
გამოჩნდა გორი იახსრის
მშვიდი და სინათლიანი.

1972

* * *

– ხე,
ბალახი,
სახლი ჩემი –
შენთა ფეხთა მტვერია!
მეფერება თეთრი ხელი –

ვიოლინოს სუსტი ხემი
და ძარღვები
სიმებივით მღერიან.

მთებში მთვარე
ჩადის,
ჩადის,
სხვა რა უნდა ღამესა,
დაიხარა ტოტი ფშატის
და ჩრდილს მოეალერსა.

1974

დ ი დ ე დ ა

სიმყუდროვეში ცაცხვის ტოტი
რამ შეატოკა?
მზე არ ანათებს და საიდან მოჟონავს სხივი?
იასამნისფერ სინათლეში
ვდგავარ მარტოკა
და ვეფერები საამო ტკივილს.
ნამიან მოლზე
ისე ფრთხილად მიდის დიდედა,
როგორც ოთახში,
როცა მშვიდად სძინავთ პატარებს,
მშვიდი თვალებით
ჩემს დუმილში შემოიხედავს
და მიდის,
მიდის,
თითქოს მიწას
ფეხს არ აკარებს...

1973

* * *

გზა აღარ მოჩანს,
შეჩერდა კაცი...
წვიმა ასველებს ანთებულ იელს,
დაფარულია ბილიკი ქაცვით
და გზის გაგნება
გაჭირდა ძლიერ.
თვალს შეაჩერებს ჩონჩხების გროვა...
მიწას ეხება მუხლი დაღლილი,

ალბათ შენამდე,
ვიდრე მე მოვალ,
მოაღწევს ჩემი შორი ძახილი;
კარს შემოგიმტვრევს
და გაგაბრუებს
ავადმყოფური სუნთქვა იელის
და შენ მიხვდები –
უკან მაბრუნებს
გზები გავლილი და ცარიელი.
და შენ მიხვდები –
ძველისძველ ზღაპარს,
რომ ბოლო აღარ უჩანს კეთილი,
მე ტყეში ვზივარ
და ცრემლებს ვყლაპავ,
შენ –
დევებს ჰყავხარ გამოკეტილი.
და ჰყვავის დარდი,
ჰყვავის იელი,
ხევში გუბდება იელის ნისლი;
რად მომენატრე ასე ძლიერად,
რად ამიჩქამე მთვლემარე სისხლი?!...
ვგრძნობ, სასწაულმა
უნდა გიშველოს,
„ხამს განსრულდების ჭმუნვანი ესე“.
ვდგავარ მლოცველი და ფეხშიშველი
ხანჯლისპირივით ალესილ კლდეზე.

1975

* * *

ბრუნავს და ბრუნავს,
ბრუნავს მორევი
და ჩვენი ჯავრის ყოველი წვეთი,
ჩვენი ქადილი
თუ დანანება,
არ იკარგება,
იმ მორევს ერთვის
და ნაპირისკენ მიექანება.

1975

ციკლიდან „ზღაპრების მხარე“

ძმათა სასაფლაო არყების ტყეში

არყის ხეებო,
მე შემაკრთო თქვენმა სინათლემ –
ტოტებს შორის მოჟონავს ზეცა...

არყის ხეები
ხმაურისაგან დაფეთებულ
პატარა ჩიტებს
ყვავილებით ისვრიან ცაში.

ხეთა ფესვებმა ამოზიდეს
ცოცხალი სული მიწათქცეულთა
და შეუერთეს მთვარის სხივებს.
ჩუმი ჩრდილებით აივსო ტყე,
მე მეშინია სიარული
ცოცხალ ჩრდილებზე.

* * *

შუაღამისას ფეხაკრეფით შემოვდივარ
                                    მყუდრო ოთახში
და მსუბუქ სუნთქვას –
შენი ფერადი სიზმრებიდან
                                    მონაბერ ნიავს
ფრთხილად მივუშვერ
                                    უნიღბო სახეს.
ღია ფანჯრიდან იდუმალი
                                    შრიალი ისმის,
მოძვრება ტანში
                                    მოსალოდნელი დღეების შიში
და დაღლილ ტვინში
                                    გააქვს ტკაცუნი.
სახეს გარიდებ,
                                    დახუჭული თვალებით გიმზერ
და ჩემზე უფრო,
მოსალოდნელი დღეების შიში,
ჩემი შიში გეალერსება.

1975

* * *

ფანჯარასთან თვლემდა დედაბერი,
ფანჯრიდან თოჯინები იმზირებოდნენ,
გარეთ კი პირველად აყვავებულ
                                    ატმის ხესთან –
შეყვარებულთა მკლავებში
                                    გაზაფხული ფეთქავდა.

ქალაქი იმ წუთში ჰგავდა ალბათ
                                    დედაბრის სიზმარს
და ჩვენ როგორც სიზმრის
                                    პერსონაჟები
გაურკვეველი მიმართულებით მივაბიჯებდით.

1975

* * *

შაბიამნისფერ
ვენახთან რომ ჰყვავის –
ზაფრანა –
ავადმყოფობას მახსენებს შენსას,
დავხუჭავ თვალებს,
მაინც იშლება,
იშლება მყისვე
და თვალებს ბურღავს,
გონებას ბურღავს,
როგორც ზეცას კენტი ვარსკვლავი.
შაბიამნისფერ
ვენახთან რომ ჰყვავის
ზაფრანა –
ავადმყოფობას მახსენებს შენსას.

1975

* * *

შუაღამისას
ბავშვების სუნთქვა
ათრთოლებს ჰაერს.
წერს კალმისტარი:
საბავშვო ბაღში,
თიხის ქოთნებში
ისევ თესავენ ერთ მუჭა ხორბალს,
რომ გაზაფხულის უჩვეულო დღეს,
ქალაქელ ბავშვებს დაანახონ –
აი, ბავშვებო, პურის ყანა,
გადაიხატეთ.
შეხედავს ბავშვი,
შეანათებს ცასავით თვალებს
და პაპამისის თუ პაპის–პაპის
სისხლის კარნახით,
მწვანე ყანაში
ყაყაჩოები მოელანდება.
წერს კალმისტარი –
წინაპრის შუბის შთამომავალი –
თან მოწყენილი მისჩერებია,
როგორ იშლება კვამლის ბოლქვები
აწოწილ მილზე.
შუაღამეა,
ბავშვების სუნთქვა ათრთოლებს ჰაერს,

ფანჯრიდან მოჩანს –
ქარხნის მაღალი საკვამურიდან
ამომავალი მხრჩოლავი კვამლი
ღამეს უმატებს
ქალაქის ღამეს.

1974

ს ი ზ მ ა რ ი

შარშანდელი თუ
შარშანწინდელი,
თუ კიდევ უფრო ადრინდელი
თებერვლის დილა
გათენდა დღესაც
და ნეტარი სიზმრების წიაღ
შემოაცურა ყინულის ხელი.

ამ უკაცრიელ თოვლიან მხარეს
მერამდენეჯერ შევხვდით ერთმანეთს;
ის – ყინულეთის მრისხანე მეფე,
მე – ოცნებათა ქალაქის მკვიდრი.

ვით თოფის ლულა დამიზნებული,
მიჰყვება ჩემს კვალს მაცდურის მზერა
და უკვირს ძლიერ,
რომ კიდევ ფეთქავს
ჩემი ოცნების
უთოვლო მხარე.

1972

მიტოვებული სოფელი. ძაღლი. ღამე

ნეტა ვიცოდე ბებერ ყელზე
ვინ შემაბა ფოლადის ჯაჭვი?
ანდა უხილავს რად მისცა ჯაჭვის
მეორე ბოლო?
იმ დღიდან იგი
ასე უაზროდ
დამაძუნძულებს ღამიდან ღამეში,
გზიდან გზაზე...
როდემდე უნდა ვუდგე დარაჯად
ჩემს სიმარტოვეს,

ანდა როდემდე ვუღრინო, ღმერთო,
მოახლოებულ აჩრდილთა ჯოგებს?!
ყოველ ნაბიჯზე სისინებენ,
შრიალებენ,
ხელებს მჭიდებენ
და ქვესკნელისკენ მეწევიან
უსუსურს,
დაღლილს.
მაინც მივდივარ სიმარტოვის
ბნელ კიბეებზე.
ეს ვარსკვლავები კი არა და
მგლის თვალები ბრიალებენ
გაყინულ ცაზე,
ნეტა რომელმა დიდთოვლობამ
ჩამორეკა
მტაცებელთა მშიერი ხროვა.
მწუხრით სავსეა ჩემი სოფლის
საკვამურები,
ხმას ვის მიაწვდენ,
ძახილი იგი დაგორებული
ლოდივით მიდის უფსკრულისაკენ
და ასწლეულთა ოკეანეში
იკარგება,
ქრება,
დუმდება.

1971

ეშმას მონოლოგი

ღამით, როცა ქალაქს შთანთქავს
სიჩუმე,
როცა სძინავთ მოქალაქეებს,
ოთახის ძაღლებს და მაღაზიებს,
როცა თოფებს
მკერდში იკრავენ დარაჯები
და აშტერებენ ლიბრიან თვალებს,
მხოლოდ მდინარის ხმაური ისმის
და აწოწილ ელექტრობოძებს
გააქვთ ზრიალი გულისწამღები...
ამ სიჩუმეში
ფეხაკრეფით შემოვდივარ
შუა ქალაქში,
ჩრდილიდან ჩრდილზე ისე ვაბიჯებ,
როგორც კატა ატალახებულ,

ნაწვიმარ გზაზე,
მივიპარები შეგუბებულ
ჩრდილებისაკენ,
რომ დავისვენო, სული მოვითქვა.
ჩუმად ავდივარ ახალ კიბეზე
და ვანგარიშობ:
რამდენი წელი დასჭირდება,
რამდენი კაცის სიცოცხლე უნდა,
ეს კიბეები ისევ რომ გაცვდეს.
ვითვლი...
ვითვლი გარდაცვლილებს,
გარდასაცვლელებს,
დაბადებულებს,
დასაბადებლებს
და სასურველ შედეგებს ვაღწევ.

. . .
ცუდი დრო დადგა,
ახლა ეშმაკსაც ვეღარ ენდობი,
ცუდი დრო დადგა,
საკუთარი კუდიც კი მაკრთობს,
წეღან ეს კუდი –
კაცის ხელი მეგონა უცებ,
მიტომ მოვრბოდი შეშინებული
ჩრდილიდან
ჩრდილზე.
ვისთან მივიდე?!
ქალაქის ძილქუში დასცემია
და მტერი ფხიზლობს,
საწყალ ოთახში შუქი უნთია,
თან თვალს უსწორებს –
ფანჯრის ჩარჩოში ჩატეულ ცას,
და აწებებს სტრიქონზე სტრიქონს.
ის სტრიქონები შხამიანი
ისრებივით წივიან ბნელში,
ყურთან სისინით ჩამივლიან
და მე გავრბივარ,
ღამეს მივარღვევ პატარა რქებით,
მერე შიშისგან მეჩვენება,
რომ კუდს კი არა –
ჩემი სულიდან
გამომძვრალ გველს მივათრევ
გზებზე.
სიკეთე მსურდა ჩემი მტრისთვის,
ვინ დაგიფასა?!
არ მოისურვა უმეცარმა,

ფული, სახელი
და ერთადერთი ბროლის ლარნაკი
თავზე დამაფშვნა.
რა დამავიწყებს, როგორ მიმზერდა –
გული თვალებში ამოხტომას
ლამობდა თითქოს
და სუსტ მაჯაზე –
ვეება ძარღვი,
სწორედ ისე ხმაურობდა,
როგორც მდინარე ღამის წყვდიადში.
მე იმ დღის მერე მეზიზღება
მდინარის ხმაც, მისი თვალებიც
გამჭოლავი და აზრიანი.

ო, არ გეგონოს,
რომ დამამარცხე,
მე შენი ქება მეამებოდა,
თორემ სხვები ისეც მაქებენ.
სიკეთე მსურდა
ჩემი ღარიბ–ღატაკი მტრისთვის,
არ მოისურვა,
არ ინება!
შენ,
შენ უმზირე
ერთ ფანჯარა ვარსკვლავიან ცას
და მზიან დილას,
იხეტიალე,
დიდი ქალაქის ასფალტი ტკეპნე,
ანდა იმ ახალ კიბის გაცვეთას
შეალიე მთელი სიცოცხლე!
ვნახოთ,
ვნახოთ ნახნავებზე
შენი ყანა აიღერება,
თუ ჩემი ქაცვი,
ეკალბარდი,
ხავსი,
ჭინჭარი
ნასოფლარებზე,
საითაც დილა–უთენია
ჩრდილიდან ჩრდილზე
ხტუნვა–ხტუნვით მივეშურები...
და მომდევს, მომდევს მზის ნიაღვარი.

1975

ს ი ნ ა ნ უ ლ ი

მე არ შემეძლო
არ დამეძახა შენთვის
და ყურში არ მეთქვა ჩუმად –
ყველაზე უფრო დიდი ტყუილი.
მე არ შემეძლო
ულმობელი სიმართლე მეთქვა,
ხუხულასავით დამენგრია
ლამაზი სახლი,
მრავალი წელი სათამაშო კუბიკებით
რომ აშენებდი.

და მე მივხვდი, რომ დაიჯერე
ყველაზე უფრო ხანდაზმული
სიტყვა – მიყვარხარ!

და მე მივხვდი:
ჩვენს შორის იდგა
ჩემი გაწვრთნილი ორეული,
ორეული –
შენზე მზრუნველი,
ორეული –
ბავშვის მამა,
რომელიც ასე ძლიერ გიყვარდა.
მე სინანულით გიყურებდით
შორზე შორიდან,
რა გულმოდგინედ აფარებდით
იმედის სანთელს
სანახევროდ მომუჭულ ხელებს
და სანახევროდ განათებულ
შემკრთალ სახეებს.

1975

დ ა ტ ი რ ე ბ ა

(დავით და კონსტანტინე არგვეთის ერისთავებისადმი)

თალხი სამოსელი
მწუხრის დროშაა,
იგი არ ფრიალებს,
საავდრო ღრუბელივით ბოლავს,
ფრთებჩამოყრილი
მგლოვიარე ფრინველებივით,
ვსხედვართ სიცოცხლის

მოქანავე ტოტზე –
მტერსაც აატირებს
ჩვენი ზარი.
თვალებში ყორნის ფრთა სავსავებს,
ცრემლი გაგვიშრა,
ვერ ვასველებთ გვალვიან მიწას,
ირწევა მუხა
ფოთლებამღვრეული –
მიიბარე მოწამეთის მიწავ!
მოჩანს ეკლესია –
სიმშვიდის გოდოლი,
თითქოს იმზირება
ათცამეტი მამა.
შეიფარე,
შეიფარე, უფალო,
გელათის ნიავო, მიეფერე,
ჭრილობაზე სული შეუბერე,
ბალახი მიაფარე,
მიიბარე,
ბებერო მიწავ!

1972

* * *

(მ.ჭ)

ყოველდღიურად აშფოთებდა
იგივე ჯავრი,
ჯავრი, რომელიც გუბდებოდა
სულში წვეთ–წვეთად,
ჯავრი – თავისთავს რომ უმხელდა
მარტოოდენ,
მოულოდნელად
წალეკავდა სხეულის კედლებს...

და ახლა სოფლის სასაფლაოზე
თუ წევს,
ისიც კი მეეჭვება;
ვინ იცის,
მარტის მძიმე ღრუბლებს,
(ცაზე ზანტად რომ გადადიან),
იქნება იგი მიერეკება
უხილავი ჰორიზონტისკენ?!

1975

* * *

ღია თვალებში
ეს წუთებიც აღიბეჭდება,
მკაცრი წუთები
ვგრძნობ რომ ფსკერზე იძირებიან
და ზედაპირზე მოლივლივე
ცისფერ რგოლებს ათამაშებენ.

ღია თვალებში
ეს ფოთლებიც მოფარფატებენ
და შემოდგომის ნაღვლიან ქსოვილს
აფარებენ ამღვრეულ მზერას.
ღია თვალებში შემოდიან დაუკითხავად –
საგნები,
მთები,
სახეები
და ა. შ.
და სიკვდილამდე შენთან რჩებიან
მარადიულად იდუმალნი,
შეუცნობელნი.
იცი, როდის
რა ამოცურდება
ხსოვნის ფსკერიდან?
იცი, როდის წაგეკიდება
ღვთიური ცეცხლი?
ღია თვალებში წყნარად ირწევა
კიპარისთა მაღალი ტევრი
და თვალებს ცისკენ
ახედებენ კენწეროები.

1975